*2.* (ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის საკომუნიკაციო გეგმები , რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (ბ.31.12825094001 04.04.2025 წელი).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

## 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება  მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გეგმავს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრებს, ინფორმაციების გაზიარებას დაწესებულების გვერდზე, ასევე მშობელთა შეხვედრის კუთხეში და ბაღის შესასვლელში განთავსებულია ინფორმაციები ბავშვთა უფლებების, ასაკობრივი თავისებურებები და განვითარების სპეციფიკის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები  ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის ბ31.128250975 ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ქვედანაყოფების გრძელვადიანი გეგმები. გეგმით გათვალისწინებულია მშობლებთან შეხვედრები წელიწადში 2-ჯერ, ბავშვის შეფასების შედეგების გასაცნობად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის ზ31.128250975 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ქვედანაყოფების გრძელვადიანი გეგმების მიხედვით შემუშავებული გრძელვადანი გეგმა მოიცავს აქტივობებს ცალკეულ მიმართულებად, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ღონისძიებებთან, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში ოჯახისა და თემის ჩართულობას უზრუნველყოფს.

საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს თემატურ ექსკურსიებსა და შეხვედრებს, ასევე იწვევს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის ბ31.12824354001 ბრძანებით დამტკიცებულია „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი,“ რომლის მიხედვითაც ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობების შესაფასებლად, დაწესებულება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს: ა) ღია შეხვედრები; ბ) ელექტრონული კითხვარები;

ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ უკუკავშირის შედეგად მიღებული პასუხების საფუძველზე დაწესებულება გააანალიზებს შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის დაგეგმვაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დანართი N26 - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის ბ31.128250975 ბრძანება სტრუქტურული ქვედანაყოფების გრძელვადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ;
2. დანართი N7 - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 4 აპრილის ბ31.12825094001 ბრძანება საკომუნიკაციო გეგმების დამტკიცების შესახებ;
3. დანართი N7 - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის ბ31.12824354001 ბრძანებით დამტკიცებულია „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
4. დანართი N31 - მშობლებთან შეხვედრების ფოტოები ბავშვის პროგრესის გასაცნობად;
5. დანართი N30 - მშობლებისა და თემის ჩართულობით განხორციელებული აქტივობების ფოტოები;
6. მშობლების ცნობიერების ამაღლების დამადასტურებელი მტკიცებულება: https://www.facebook.com/profile.php?id=61571965337141

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის საშტატო განრიგის, თანამდებობრივი სარგოებისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 31 დეკემბრის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბ128.128243661 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 25 აპრილის ბ31.128251152 ბრძანების მიხედვით, დაწესებულებას ჰყავს პერსონალი, რომელიც მათი კვალიფიკაციიდან და სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის ეფექტიან ფუნქციონირებას. ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანებით დამტკიცებულია **პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი**, რომელსაც თან ახლავს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. აღნიშნული წესის შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პრინციპებს. საშტატოს განრიგის მიხევდით, დაწესებულებას ჰყავს გაერთიანების ხელმძღვანელი, 2 მოადგილე, სპეციალისტი სააღმზრდელო-მეთოდოლოგიურ საკითხებში, სპეციალისტი საბუღალტრო საკითხებში (ბუღალტერი), სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში, სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში, სპეციალისტი კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებში, სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (იურისტი), სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში, სპეციალისტი მონიტორინგის საკითხებში, სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, სპეციალისტი შორმის უსაფრთხოების საკითხებში.

ახალშენის საბავშო ბაღის ხელმძღვანელი, მაოდგილე, მეთოდისტი, მნე, მედდა, 12 აღმზრდელი პედაგოგი, 2 აღმზრდელი, 7 აღმზრდელის თანაშემწე, 2 მუსიკის პედაგოგი, ენის მეტყველების პედაგოგი, ფსიქოლოგი, ინგლისური ენის პედაგოგი, სპეც. განათლების პედაგოგი, ძიძა სანიტარი, მზარეული, მზარეულის თანაშემწე, მრეცხავი, დარაჯი, 3 დამლაგებელი, დარაჯი. ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო **ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 07 მაისის ბ31.128251272 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ორგანოგრამა,** სადაც აღნიშნულია თითოეული პოზიცია და განთავსებულია ხელვაჩაურის გაერთიანების ვებ გვერდზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი, რომელსაც თან ერთვის სტრუქტურული ერთეულისა და პერსონალის ფუნქციები. ფუნქციები აღწერილია შიდა რეგულაციებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და განაწილებულია მართვის ეფექტური სისტემის ფარგლებში. თითოეული თანამშრომელი იცნობს საკუთარ უფლებამოსილებებსა და მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული პროცესების თანმიმდევრულ და გამართულ მიმდინარეობას. პერსონალის ფუნქცია - მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი სამუშაო აღწერილობებში - ვინ, როდის და რას აკეთებს პრინციპით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დადგენილება N28 2017 წლის 27 ოქტომბრის ნორმატიული აქტის მიხედვით, აღნიშნულ დოკუმენტში რა პოზიციებზეც არ არის გაწერილი მოთხოვნები, გაერთიანებამ თავად შეადგინა და პერსონალის კვალიფიკაციას შეესაბამება, ასევე აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტის მიხედვით არის შედგენილი აღნიშნული პოზიციისთვის კვალიფიკაცია. დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ.31.128251222 ბრძანებით - პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია დამატებითი სამუშაო აღწერილობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დანართად დამტკიცებულია სამუშაო აღწერილობები. გაერთიანების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბერის N30 დადგენილებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგნამანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, მათ აქვთ გადამზადება გავლილი , რაც დასტურდება შესყიდვის ხელშეკრულებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ელექტრონული ტენდერით (NAT240008561), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ხელშეკრულება №42, 13 ივლისი 2024 წელი ,,საგანმანათლებლო მომსახურეობა- ბაღის მასწავლებლებისა და მშობლების ბავშვებთან ურთიერთობების ცნობიერების ამაღლების საგანმანათლებლო პროექტი. და ფლობენ სერტიფიკატებს. ასევე დაწესებულებას აქვს დამტკიცებული პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, ბრძანება ზ31.128251262 06.05/2025 ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ მექანიზმს იცნობს ბაღის თითოეული თანამშრომელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვა ხორციელდება გაერთიანების მიერ დამტკიცებული გაერთიანების პეროსნალის მართვის მარეგულირებელი წესი დამტკიცების შესახებ დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ.31.128251222 ბრძანებით, რომელიც ასახავს მართვის პროცესებს და ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 05 მაისის ბ31.128251254 ბრძანებით დამტკიცებული ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფების შინაგანაწესით, შინაგანაწესის მუხლები შედგება: ზოგადი დებულებები; სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენების და დასვენების დრო, შვებულება, მივლინება, შრომის ანაზღაურება, დასაქმებულის სამსახურში გამოუცხადებლობა, დაგვიანება ან/და ადრე წასვლა, წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, დასკვნითი დებულებებისგან.აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან და არეგულირებს იმ ძირითად საკითხს, რაც დაკავშირებულია პერსონალის მართვასა და განვითარებასთან.

ადგილზე ვიზიტისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს შრომის შინაგანაწესს და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს. გამომდინარე იქედან, რომ პერსონალის მარეგულირებელი წესი შემუშავებულია მიმდინარე წლის 5 მაისს, კონკრეტული მტკიცებულებები პროცესის შესახებ შექმნილი არ არის (მაგ;წახალისება, დისციპლინარული გადაცდომა...), თუმცა ინტერვიუს დროს მენეჯერთან და გაერთიანების ხელმძღვანელებთან იკვეთებოდა დადგენილი წესის შესაბამისად პერსონალის მართვის მიდგომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დღის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო 6 საათს და კვირის განმავლობაში არასაკონტაქტო 3 საათს, ასევე სამუშაო აღწერილობაში წერია მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს: სწავლების დაგეგმვა და დოკუმენტაციაზე მუშაობა, ბავშვზე დაკვირვების გაანალიზება, შეფასება და მშობელთან კომუნიკაციის დაგეგმვა, თანამშრომლებთან ერთად კვირის დაგეგმვა და ასევე პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი. გაერთიანებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის. პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას. გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით პირი ინიშნება ვაკანრურ თანამდებობაზე პირდაპირი გზით. პირდაპირი დანიშვნის გზით პერსონალის შერჩევის დროს, დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობას. პირდაპირი დანიშვნის გზით ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება გასაუბრება; პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება თანამშრომლის პირად საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის თანახმად დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ხედვის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;

გ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა;

დ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება; დაწესებულება აწარმოებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასა და მტკიცებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპზე, რაც იკვეთება დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. დაწესებულებას გაცხადებული აქვს, რომ გუნდურობა არის მისი ერთ-ერთი ღირებულება, დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის/ადაპტაციის

მექანიზმი, გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის თანახმად დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. , რომელიც მრავალფეროვან ეტაპებსა თუ აქტივობებს მოიცავს. ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუს დროს, თანამშრომლები ერთმანეთის მიმართ ავლედნენ გულისხმიერ და კოლეგიალურ დამოკიდებულებას, ცდილობდნენ საკუთარი პრაქტიკის გაზიარების დროს, ხაზი გაესვათ თავიანთი კოლეგების შრომისმოყვარეობასა და გუნდური მუშაობის პრინციპზე. დაწესებულებაში მოქმედებს გუნდური მუშაობის პრინციპი, რაც ასევე ვლინდება სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებაში, რომელიც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის შესაბამისად,თავი IV შესრულებული სამუშაოს მართვა, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ

შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა თანამშრომელი.

გაერთიანების შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგი ასპექტების

შეფასებას:

ა) უნარები;

ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
ასევე საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით:
ა) პერსონალის თვითშეფასება;

ბ) კითხვარი;

გ) მართვა მიზნების მიხედვით;

დ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;

შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპებია:

ა) დაგეგმვა;

ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;

გ) შედეგების ანალიზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის თანახმად პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. დაწესებულება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:

ა) ტრენინგი;

ბ) ქოუჩინგი;

გ) მენტორინგი;

დ) კონსტრუქციული უკუკავშირი;

ე) თვითგანვითარება;

გაერთიანების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია გაერთიანების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

გამომდიმარე იქედან, რომ აღნიშნული წესი მიღებულია 2025 წლის 02 მაისს, ამ ეტაპზე პროცესის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები შექმნილი არ არის, ხოლო სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებული იქნა გაერთიანების დირექტორის 03/02/2025 წელს ბ31.12825034001 ბრძანებით, ინტეგრირებულია პროფესიულ განვითარებასთან დაკავსირებული სხვადასხვა ტრენინგ-კურსების ორგანიზება. ინტერვიის დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია აღნიშნული წესს დააფუძნოს პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირ სიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება:

ა) თანამშრომლების პროფესიული განვითარების ინტერესებისა და საჭიროებების რეგულარული იდენტიფიცირება და შესაბამისი საინიციატივო წინადადებების მიღება;

ბ) თანამშრომელთა ჩართულობის წახალისებით სხვადასხვა პროფესიულ ღონისძიებებსა და ტრენინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.* დანართი N9 - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 02 მაისის ბ31.128251222 ბრძანება პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;

2.დანართი N 10- სტრუქტურული ქვედანაყოფების შინაგანაწესის ბრძანება და შინაგანაწესი

3.დანართი N32 - 2025 წ.საშტატო და ბიუჯეტი
4. დანართი N33 - დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება
5. დანართი N8 - ორგანოგრამა. ბრძანება
6. დანართი N34 - ხელშეკრულების ფორმა
7.დანართი N36 - ახალშენის ბაღის ხელმძღვანელის პირველადი დახმარების სერთიფიკატი
8. დანართი N35 - ტრენინგზე მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი სერთიფიკატები და ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება
9. ტრენინგზე მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი სერთიფიკატები და ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშ\ენჯეო-ნეირობალანსირების ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულება.
10. სსიპ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

## 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 05 მაისის ბ31.128251252 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად გაერთიანებას დამტკიცებული აქვს პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომლის მიხედვითაც იდენტიპიცირებულია მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები. **მმართველობითი პროცესებია:** სტრატეგიული დაგეგმარება და ხარისხის უზრუნველყოფა. **ძირითადი პროცესებია:**

კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება; ოჯახთან და თემთან ურთიერთობა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტთბრუნვა); პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა; ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა; სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დამხმარე პროცესები: ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა; ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა; სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 05 მაისის ბ31.128251252 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის ციკლი ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას. მუშაობის აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე და გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას მათი შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. უწყვეტი გაუმჯობესების სპირალი იძლევა შესაძლებლობას, რომ დაწესებულებაში შენარჩუნდეს მიღწევები და ამავდროულად განისაზღვროს გეგმა სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. პირველი ეტაპი არის დაგეგმვის ეტაპი, მეორე ეტაპზე იწყება დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროცესების შესრულება, ხარისხის ციკლის მესამე ეტაპია და გულისხმობს - განხორციელებული პროცესების შედეგების გაანალიზებას, ხარვეზების აღმოჩენასა და წამოჭრილი პრობლემების განხილვას, გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენას, ასახავს შეფასების შედეგად გამოვლენილ ხარვეზთა აღმოფხვრის გზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება მარეგულირებლების, დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების განახლება. ხარისხის ციკლის ერთი ფაზის დასრულების შემდეგ იწყება მეორე ფაზა და ა.შ. გამომდინარე აღნიშნული შინაარსიდან, დაწესებულებაში არსებული პროცესები იმართება ხარისხის მართვის ციკლის შესაბამისად. მაგ.: კურიკულუმის შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს საკომუნიკაციო გეგმის შემთხვევასა და პროცესებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის ბ31.12825058001 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესსი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს ბავშვების ჩარიცხვა და ამორიცხვა. ჩარიცხვის პროცესში დაცულია: ა) კანონიერება; ბ) თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა; გ) გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება; დ)თემის/რეგიონის საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინება; ე) მართვის მოქნილობა და ეფექტიანობა. მე-3 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია ჩარიცხვა-ამორიცხვის ფორმა, რეგისტრაციის მსურველისთვის დარეგისტრირების დასტურის, ან მომლოდინეთა სიაში მოხვედრის შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესი/საშუალებები, ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები, ბავშვის რეგისტრაციის, ჩარიცხვის, გადაყვანისა და ამორიცხვის არსებულ პროცედურები. განსაზრვრულია აღნიშნულ პროცედურებზე პასუხისმგებელი პირი. ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
რჩევა
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

1. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის ბ31.12825058001 ბრძანება ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის წესის დამტკიცების შესახებ; რომელიც არეგულირებს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესს. აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის სტრუქტურულ ერთეულებში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ბავშვის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100);

გ) ბავშვის ფოტოსურათი ფერადი ფოტო (ორი ცალი 3X4);

დ) ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი;

ე) მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლები;

ვ) ID ბარათის შემთხვევაში ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ (გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ)

ზ) პრიორიტეტ(ებ)ით სარგებლობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი.

თ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა;

კ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე ( დანართი #2) ;

ლ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის სტრუქტურულ ქვედანაყოფის გარეთ გაყვანაზე კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის (დანართი #3);

